## სასწავლო მიზნის განსაზღვრა - მასწავლებლის „ბრილიანტი“

ბრილიანტი, ანუ სპეციალურად დამუშავებული ალმასი, ძვირფასი ქვაა. 2010 წელს აუქციონზე სურათზე მოცემული ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი 16 მილიონ დოლარად გაიყიდა. ბრილიანტს ბზინვარებას რომბის ფორმის კრისტალები აძლევს. რომბი საუკეთესოა ნებისმიერი ადამიანის საქმიანობის პრიორიტეტების დასადგენად.




მასწავლებლის ბრილიანტი  თითოეული გაკვეთილის მიზნის ნათლად განსაზღვრაა, რომელშიც გამოჩნდება, რას გააკეთებენ მოსწავლეები გაკვეთილზე შედეგის მისაღწევად.

სასწავლო მიზნის დიდაქტიკური სამკუთხედი (ცოდნა, უნარ-ჩვევები, ღირებულებები) მიგვანიშნებს, რომ მოსწავლემ რაღაც ცოდნა უნდა შეიძინოს, ეს ცოდნა ფუნქციურად გამოიყენოს და მისი ღირებულებაც გააცნობიეროს, ანუ საკუთარი დამოკიდებულება გამოხატოს.

დღეს სასწავლო პროცესს სამი ნორმატული დოკუმენტი არეგულირებს:ზგემი, ესგ და მასწავლებლის სტანდარტი.




ამ დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, თითოეული ჩვენგანი თავის თავს უსვამს კითხვას: როგორ? როგორ უნდა მოვახერხო, რომ სასწავლო მიზანი ესგ სტანდატის შედეგებს ეფუძნებოდეს და თითოეული მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებს, შესაძლებლობებს, ინტელექტის ტიპს, სწავლის სტილს, საბაზო ცოდნა-გამოცდილებას მოვარგო?

როგორ- ბლუმის ტაქსონომიის გაგების სააზროვნო დონის კითხვაა და ჩვენგან სასწავლო მიზნის საკუთარი სიტყვებით ჩამოყალიბებას მოითხოვს.

პირველი ნაბიჯი მასწავლებლის წიგნში მოცემული შინაარსისა და მიზნების რუკის ნახვაა.იქ ავტორი გვამცნობს, სტანდარტის რომელი შედეგის/ შედეგების მისაღწევად შეარჩია ეს შინაარსი და შედეგის რომელი ინდიკატორები გაითვალისწინა აქტივობების შედგენისას.

მეორე ნაბიჯი იმის გააზრებაა, რამდენად შეესაბამება ჩემს სასწავლო გარემოს  და სწავლების სტრატეგიას სახელმძღვანელოს ავტორის ჩანაფიქრი.

მესამე ნაბიჯი იმაზე ფიქრია, პოზიტიური გარემოს შესაქმნელად, როგორ უნდა გავითვალისწინო სასწავლო ქცევის ზემოთაღნიშნული სტიმულები:

**ინტერესები** ის მიზეზებია, რატომაც მოსწავლეს სწავლა სურს.

**მოთხოვნილება** ის გრძნობაა, რომლის დანაკლისის შევსებას მოსწავლე სწავლით ცდილობს.

**შესაძლებლობა** თანდაყოლილი მოთხოვნილებაა, რაც სწავლისთვის საფუძველს ქმნის, რაც შეუძლია. შესაძლებლობების გამოვლენისას მოსწავლე მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს.

**საჭიროება** ისეთი რამაა,რისი დაკმაყოფილებაც აუცილებელია.

**ღირებულებაში** იგულისხმება სწავლისადმი პირადი დამოკიდებულება, მრწამსი, განწყობა.

**პოზიციიაა** ის,რასაც ამბობს ადამიანი,რომ სურს.

**პასუხისმგებლობაა** ის, რის გაკეთების ვალდებულებასაც ადამიანი თავის თავზე იღებს.

**ინტელექტი** არის ცოდნის დაუფლების, ტრანსფერის, გარემოსთან ადაპტაციის უნარი. თუ მოსწავლე სწავლისას გამოიყენებს თავისი დომინანტური ტიპის ინტელექტს და სხვებისგან განივითარებს იმ ტიპს, რაც ჩანასახის სახით აქვს, ის იქნება კომფორტის ზონაში და კარგადაც ისწავლის.

**სწავლის სტილი** არის ის, რა სახითაც მოსწავლე ადვილად აღიქვამს, გადაამუშავებს და დაიმახსოვრებს სასწავლო მასალას.

**სტრატეგია** არის კოგნიტური (სააზროვნო)პროცესების მიზანმიმართული გამოყენება სწავლის დროს.

პოზიტიურ სასწავლო გარემოში მასწავლებლის სწავლების სტილი **შეთავსებადი** უნდა იყოს მოსწავლეთა სწავლის სტილთან. კვლევებით დადგენილია, რომ მოსწავლეთა 29%-ის სწავლის სტილი ვიზუალურია, 37%-ის კინესთეტიკური,34%-ის კი-აუდიალური.

ამის შემდეგ შემიძლია გადავდგა მეოთხე ნაბიჯი- ნათლად და კონკრეტულად დავწერო გაკვეთილის მიზანი, რომლიდანაც ყველა დაინახავს, რას გააკეთებენ გაკვეთილზე მოსწავლეები შედეგის მისაღწევად (მოიძიებენ ინფორმაციას, შექმნიან მოდელებს, ჩაატარებენ ცდას,გამოიყენებენ ნასწავლს სხვა ნაცნობ ან უცნობ სიტუაციებში, შეასრულებენ როლებს, წარმოადგენენ კვლევის შედეგებს.....)

მაგ. თუ მე-8 კლასის ქიმიის სტანდარტის 10 შედეგის მისაღწევი ინდიკატორებია: მოსწავლე ამზადებს მარტივ ნივთიერებათა მოლეკულების მოდელებს და მათი საშუალებით აწყობს რთულ ნივთიერებათა მოლეკულებს. ამ გაკვეთილის თემა იქნება მოლეკულათა მოდელების დამზადება, ხოლო გაკვეთილის მიზანი ასე ჩაიწერება: მოსწავლეები დაამზადებენ მარტივ ნივთიერებათა მოლეკულების მოდელებს,მათი საშუალებით ააწყობენ რთულ ნივთიერებათა მოლეკულებს და წარმოადგენენ კლასის წინაშე.

გაკვეთილის მიზნის ასე დაწერა  შეიიძლება შევადაროთ ბუნებრივ ალმასს, რომლის ბრილიანტად გადამუშავებისთვის, ჩვენ დამატებით, რამდენიმე 3 გამოყენება დაგვჭირდება:

1.წინასწარ, თვალსაჩინო ადგილას გამოვაკრათ გაკვეთილის მიზანი, რათა მოსწავლეებმა დაინახონ, რა უნდა გააკეთონ გაკვეთილზე წარმატების მისაღწევად.

2. წარვუდგინოთ კლასს სასწავლო მოვლენა ან ფაქტი და გავაცნოთ საბოლოო პროდუქტი.

3. ვაჩვენოთ საკითხის შესწავლის ღირებულება ანუ ავუხსნათ, ეს საკითზხი რისთვის უნდა ისწავლონ.

ამგვარად, ნათლად და ზუსტად განსაზღვრული სასწავლო მიზანი არის მასწავლებლის „ბრილიანტი“, რომლის ბრწყინვალება გზას უნათებს მასწავლებელს გაკვეთილის კომპონენტების მიზნობრივად შესარჩევად.

დიმიტრი მენდელეევი მეცნიერულ იდეას უწოდებდა ნათურას, რომელიც გზას უნათებს მკვლევარს ბნელ ლაბირინთში. ის ხშირად ეკითხებოდა  სტუდენტებს: სად არის თქვენი ნათურა?  მე მას ვერ ვხედავ.

გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება სასწავლო მიზნის განსაზღვრის შესახებ. გაგვაცანით თქვენი „ბრილიანტი“.